

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23	31-12-22
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	62,613	36,687	39,907
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,690,869	1,599,820	1,561,153
მარაგები		831,470	469,968	572,089
საგადასახადო აქტივი		498	5,848	13,244
სხვა მიმდინარე აქტივები		-	27	10
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,585,450	2,112,350	2,186,403
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	1,382,056	1,414,683	1,460,733
არამატერიალური აქტივები		592	1,480	2,367
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,382,648	1,416,163	1,463,100
სულ აქტივები		3,968,098	3,528,513	3,649,503
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	2,750,268	2,800,607	2,672,767
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		973	-	1,632
მოკლევადიანი სესხები		179,539	190,620	256,296
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		1,757	4,253	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,932,537	2,995,480	2,930,695
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		1,117,273	1,206,684	1,339,828
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,117,273	1,206,684	1,339,828
სულ ვალდებულებები		4,049,810	4,202,164	4,270,523
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		(81,712)	(673,651)	(621,020)
სულ საკუთარი კაპიტალი		(81,712)	(673,651)	(621,020)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,968,098	3,528,513	3,649,503

დირექტორი

n. kash



ირინა მუჯირი

შპს ჯორჯიან ლეჯენდი ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
5. სავაჭრო მოთხოვნები	9
6. ძირითადი საშუალებები	9
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	11
8. საწესდებო კაპიტალი	11
9. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	11
10. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	11
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12
12. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	12
13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23	31-12-22
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	62,613	36,687	39,907
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,690,869	1,599,820	1,561,153
მარაგები		831,470	469,968	572,089
საგადასახადო აქტივი		498	5,848	13,244
სხვა მიმდინარე აქტივები		-	27	10
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,585,450	2,112,350	2,186,403
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	1,382,056	1,414,683	1,460,733
არამატერიალური აქტივები		592	1,480	2,367
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,382,648	1,416,163	1,463,100
სულ აქტივები		3,968,098	3,528,513	3,649,503
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	2,750,268	2,800,607	2,672,767
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		973	-	1,632
მოკლევადიანი სესხები		179,539	190,620	256,296
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		1,757	4,253	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,932,537	2,995,480	2,930,695
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		1,117,273	1,206,684	1,339,828
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,117,273	1,206,684	1,339,828
სულ ვალდებულებები		4,049,810	4,202,164	4,270,523
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		(81,712)	(673,651)	(621,020)
სულ საკუთარი კაპიტალი		(81,712)	(673,651)	(621,020)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,968,098	3,528,513	3,649,503

დირექტორი -----

ირინა მუჯირი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	1,868,345	1,096,205
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	10	(576,108)	(498,544)
საერთო მოგება		1,292,237	597,661
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(296,757)	(342,645)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(227,449)	(235,422)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(33,875)	(50,319)
სხვა შემოსავლები		-	-
სხვა ხარჯები		(90,449)	(1,264)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		643,707	(31,988)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(311)	(10,248)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(225,788)	(10,395)
მოგება დაბეგვრამდე		417,607	(52,631)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		417,607	(52,631)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	-	(621,020)	(621,020)
წმინდა მოგება		(52,631)	(52,631)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	(673,651)	(673,651)
წმინდა მოგება	-	417,607	417,607
კაპიტალის შემცირება			-
სხვა ცვლილება		174,332	174,332
დივიდენდის გაცემა		-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	-	(81,712)	(81,712)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯორჯიან ლეჯენდი დაფუძნდა 2011 წელს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. აბაშიძის ქ., N 70 სადარბაზო 3, სართული 1, ბინა 118 კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 404887191. კომპანიის 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი:

მიხეილ იუკურიძე(პ/ნ:08001014909)

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ღვინის წარმოება, ალკოჰოლური სასმელების იმპორტი, საბითუმო და საცალო ვაჭრობა ალკოჰოლური სასმელებით. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი ირინა მუჯირი (პ/ნ: 01009007812) ერთპიროვნული მმართველობით.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	50
მანქანა-დანადგარები	5
სატრანსპორტო საშუალება	10
ოფისის აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-5
იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე

გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.4 შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც

აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	22,369	4,766
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	40,244	31,921
სულ	62,613	36,687

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც კომპანიამ მიაწოდა ალკოჰოლური საქონელი და რომელთაგანაც რეალიზაციის თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2024 წლის და 2023 წლის ბოლოსაც კომპანიას ჰყავდა 200-მდე დებიტორი.

6. ძირითადი საშუალებები

2024 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	18,382	-	18,382
შენობა-ნაგებობები	1,474,170	-	1,474,170
მანქანა-დანადგარები	32,685	-	32,685
სატრანსპორტო საშუალება	37,460	-	37,460
ოფისის აღჭურვილობა	21,492	-	21,492
ავეჯი და სხვა ინვენტარი	37,789	360	38,149
სულ	1,621,977	360	1,622,337

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	18,381	1	18,382
შენობა-ნაგებობები	91,331	24,883	116,215
მანქანა-დანადგარები	32,684	1	32,685
სატრანსპორტო საშუალება	30,318	2,571	32,889
ოფისის აღჭურვილობა	12,057	2,471	14,528
ავეჯი და სხვა ინვენტარი	22,522	3,061	25,583
სულ	207,294	32,988	240,281

2023 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	18,382	-	18,382
შენობა-ნაგებობები	1,474,170	-	1,474,170
მანქანა-დანადგარები	32,685	-	32,685
სატრანსპორტო საშუალება	37,460	-	37,460
ოფისის აღჭურვილობა	18,111	3,381	21,492
ავეჯი და სხვა ინვენტარი	37,789	-	37,789
სულ	1,618,596	3,381	1,621,977
	-	-	-

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	14,705	3,676	18,381
შენობა-ნაგებობები	66,448	24,883	91,331
მანქანა-დანადგარები	26,148	6,537	32,684
სატრანსპორტო საშუალება	22,926	7,392	30,318
ოფისის აღჭურვილობა	9,719	2,338	12,057
ავეჯი და სხვა ინვენტარი	17,917	4,605	22,522
სულ	157,863	49,431	207,294

7. სავაჭრო ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
არარეზიდენტი პირების მიმართ	747,803	1,003,874
რეზიდენტი პირების მიმართ	1,707,456	1,589,393
დაკავშირებული ფიზიკური პირების მიმართ	295,009	207,340
სულ	2,750,268	2,800,607

8. საწესდებო კაპიტალი

2023 წელს საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ განხორციელებულა. 2024 წელს მოხდა მაკორექტირებელი გატარება, რომელმაც წარმოქმნა 174332 ლარიანი მოგება.

9. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყაროები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- *საცალო ვაჭრობა ალკოჰოლური სასმელების სპეციალიზირებულ მაღაზიაში*
- *საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლური სასმელებით*
- *ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი*

საწარმოს შემოსავლები აქვს როგორც ქართულ ბაზარზე მოღვაწე კომპანიებისგან ისე საერთაშორისო ბაზარზე მოღვაწე უცხოური კომპანიებისგან რომელთა მიზანიცაა ბრენდის შექმნა/გაძლიერება და გაყიდვების გაზრდა.

10. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება შედგება სხვადასხვა კომპონენტისაგან.

ამ დანახარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია მოცემულ ცხრილში:

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2024	2023
დამხმარე მასალის დანახარჯები	24,408	28,253
საქონლის თვითღირებულება	538,885	467,198
წარმოების ხარჯები	9,687	567
სხვა ზედნადები ხარჯები	3,128	2,526
სულ	576,108	498,544

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2024 და 2023 წლებისთვის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-24	31-12-23
მიწოდების ხარჯები	37,622	34,979
მარკეტინგული ხარჯი	51,923	49,698
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	904	0
მივლინების ხარჯები	17,193	26,177
წარმომადგენლობითი ხარჯი	2,238	993
საბუღალტრო და იურიდიული მომსახურების ხარჯი	21,946	0
საბანკო ხარჯი	69,715	164,586
კომუნალური ხარჯი	8,367	10,040
იჯარის ხარჯი	8,735	12,508
სხვა ხარჯები	78,114	43,663
სულ	296,757	342,645

12. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-24	31-12-23
სახელფასო ხარჯი	213,749	218,154
საპენსიო და სხვა სარგებელი	13,700	17,267
სულ	227,449	235,422

13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 და 2023 წლებში მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 94,297 ლარი და 25,608 ლარი შესაბამისად.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.